ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 38

"12" თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.13.022.003.01.521 და N01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.13.022.003.01.521 და N01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის №19.12.17 განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

№1ქ. თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქუჩა №13 (ს/კ 01.17.13.022.003)

№	სახელი და გვარი	პირადი №	დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	ლუკა მანიჟაშვილი	01011078721	1	119.95 კვ.მ	01.17.13.022.003.01.521
2	მანანა მთივლიშვილი-ოქრომჭედლიშვილი	13001010860	1	66.89 კვ.მ	01.17.13.022.003.01.522